საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

დადგენილება №7

2018 წლის 11 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის პირველი მარტის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2016 წლის პირველი მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტი;“

2. დაემატოს 15^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15^1. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტი

1. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის ძირითადი მიმართულებებია:

ა) საზოგადოებაში მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება;

ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მედიაწიგნიერების მიმართულებით;

გ) საზოგადოებაში მედიაწიგნიერების მდგომარეობის შეფასების, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება;

დ) არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის ხელშეწყობა.

2. მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობის დეპარტამენტის ფუნქციებია:

ა) ლიდერობის, კოორდინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მედიაწიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება;

ბ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა მედიაწიგნიერების მიმართულებით და ამ მიზნით სამთავრობო არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შესაბამის სამიზნე ჯგუფებთან თანამშრომლობა (პარტნიორობა);

გ) მედიაწიგნიერების კვლევითი პროგრამების შემუშავება, მედიაწიგნიერების კუთხით არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შეფასების მიზნით;

დ) საზოგადოებაში მედიაწიგნიერების მდგომარეობის შეფასების, გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მედიაწიგნიერების განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება, კვლევის შედეგების ანალიზი და შეფასება;

ე) ცნობიერების ამაღლებისთვის შესაბამისი მასალის მომზადება და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ვ) პროექტების განხორციელება სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად;

ზ) საგანმანთლებლო პროექტების განხორციელება ცნობიერების ამაღლების კუთხით განათლების ყველა საფეხურზე (სკოლამდელი, სასკოლო ასაკისა და სკოლის შემდეგომ);

თ) მოსწავლეებსა და სტუდენტებთან, ასევე მშობლებთან, მასწავლებლებთან და შესაბამის სამიზნე აუდიტორიასთან მედია და ციფრული წიგნიერების განვითარების უნარების გაუმჯობესებისათვის სტრატეგიის შემუშავება და აღსრულება;

ი) არასრულწლოვნების მავნე ზეგავლენისგან დაცვის ხელშეწყობა და ამ მიზნით საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მუხლი 2
ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

თავმჯდომარე	**კახი ბექაური**
კომისიის წევრი	**ელისო ასანიძე**
კომისიის წევრი	**მერაბ ქათამაძე**
კომისიის წევრი	**გიორგი ფრუიძე**